**გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: 18 ივნისი - 1 ივლისი**

- **„ქართულმა ოცნებამ“ ჯოზეფ ბორელსა და რობინ დანიგანს კრიტიკით უპასუხა;**
- **„ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისია გააკრიტიკა „საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების მიღების რეკომენდაციისთვის“;**
- **„გლობალური ომის პარტია“, „რევოლუცია“ და „მეორე ფრონტი“ მმართველი პარტიის რიტორიკაში კვლავ აქტუალურია;**
- **პროკრემლისტური ჯგუფები განაგრძობენ დასავლეთის დადანაშაულებას, საქართველოში რევოლუციისა და ომის წამოწყების გეგმების გამო;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების შეთქმულების თეორიები საქართველოში აშშ-ს ინტერესების შესახებ;**
- **პროპაგანდა მოსკოვს საქართველოს დამოუკიდებლობისა და იდენტობის გადამრჩენელად წარმოაჩენენ.**

**„ქართულმა ოცნებამ“ ჯოზეფ ბორელსა და რობინ დანიგანს კრიტიკით უპასუხა**

ივნისს, ლუქსემბურგში ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომის შემდეგ, ჯოზეფ ბორელმა, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა. ბორელის განცხადებით, საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის ნაბიჯები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისგან აშორებს. მან გარკვეულ მოკლევადიან ზომებზე ისაუბრა, რომლებიც ევროკავშირს შეუძლია მიიღოს: ევროპული სამშვიდობო ფონდის მეშვეობით მხარდაჭერის შეწყვეტა, მაღალი დონის პოლიტიკური კონტაქტების შეწყვეტა, დაფინანსების ნაწილის შეჩერება, რომელიც პირდაპირ მთავრობას მიემართება.

ამასთანავე, აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რობინ დანიგანმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის დაფინანსების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, ინფრასტრუქტურისა და სოციალური პროექტებისთვისაა განკუთვნილი. მიუხედავად ამისა, ელჩის განცხადებით, ზემოაღნიშნული დახმარება რისკის ქვეშ დგას, თუ საქართველოს ხელისუფლება აშშ-ისა და ევროკავშირის მტრად წარმოჩენას განაგრძობს. ინტერვიუში ელჩმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებაც, დაახლოებოდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, როდესაც ეს უკანასკნელი რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი დამფინანსებელია. “რატომ უნდა გააღრმაო ეკონომიკური კავშირი იმ პარტიასთან, რომელიც აფინანსებს თქვენს ოკუპანტს? - აღნიშნა ელჩმა.

დასავლეთის ოფიციალური წარმომადგენლების ჩვეულებრივზე მკაცრ განცხადებებს მმართველი პარტია კრიტიკით გამოეხმაურა.

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აშშ-ის ელჩის პოზიციას, საქართველოსა და ჩინეთს შორის გაღრმავებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, **ორმაგი სტანდარტები უწოდა.** მისი განცხადებით, საქართველოს უწევს, გაუმკლავდეს უსამართლო შეზღუდვებს ჩინეთთან ურთიერთობის გამყარების დროს, როდესაც იმ ქვეყნებს, რომლებიც აღნიშნულ ურთიერთობას აკრიტიკებენ, მსგავსი შეზღუდვები არ აქვთ. ამასთანავე, როდესაც საქართველო ცდილობს, მიიღოს „გამჭვირვალობის

კანონი“, ამ უკანასკნელს „რუსულს“ არქმევენ, როდესაც მსგავსი კანონმდებლობა უარყოფითი შეფასებების გარეშე არსებობს დასავლურ ქვეყნებშიც, როგორებიცაა საფრანგეთი, კანადა და აშშ. „ასეთ ორმაგ სტანდარტებს ვართ მიჩვეული, ეს არის სამწუხარო რეალობა, თუმცა რაღაცნაირად ვცხოვრობთ ამ რეალობითაც,“ - განაცხადა კობახიძემ.

- პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა კრიტიკასაც კანონპროექტზე „გამჭვირვალობის შესახებ“ და განაცხადა, რომ კანონისთვის „რუსულის“ შერქმევით ყალბი აჟიოტაჟი შეიქმნა, რათა ქვეყნის შიგნით პროტესტი გაღვივებულიყო, ხოლო ქვეყნის გარეთ - დაძაბულობა. მან ხაზი გაუსვა, რომ სინამდვილეში, ეს კანონი საქართველოს სუვერენიტეტს ამყარებს. მიუხედავად კრიტიკისა, კობახიძემ თავდაჯერებულობა გამოხატა, რომ საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობა ჩვეულ ნიშნულს დაუბრუნდება, თითქოს თითოეული მოვლენა სწორედ აღნიშნულისკენ მიუთითებს.

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ, ჯოზეფ ბორელის განცხადებებზე საპასუხოდ, განაცხადა, რომ წარმოუდგენელია, საქართველოს ბრალი დაედოს იმაში, რაც არ ჩაუდენია და ქვეყნის სანქცირება მოხდეს სწორედ ამ დაბრალებული საქმის გამო. მდინარაძის შეფასებით, მთავარი პრობლემა არა სანქციები, არამედ ევროკავშირის მცდარი დასკვნები და ბრალდებებია. მან პარალელი გაავლო საქართველოს მიმართ მიღებულ ზომებსა და **ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას** შორის, რადგან ეს უკანასკნელი უსამართლოდ სჯიდა მოქალაქეებს. მდინარაძემ გაიმეორა მმართველი პარტიის ტრადიციული ნარატივიც, რომლის მიხედვითაც, აშშ-მა, საფრანგეთმა, კანადამ და სხვა დასავლურმა ქვეყნებმა უპრობლემოდ მიიღეს კანონმდებლობა „უცხოეთის გავლენის“ შესახებ, თუმცა საქართველოში მიღებულ იდენტური შინაარსის კანონს „რუსული“ უწოდეს.
- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ ბორელის კრიტიკას **ტრადიციული ნარატივით** უპასუხა, **თითქოს საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს არგუმენტებს, თუ რატომ არის აღნიშნული კანონი ცუდი, რატომ ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას და როგორ ეწინააღმდეგება გამჭვირვალობა ევროპულ ღირებულებებს.** ის ამტკიცებდა, რომ თუ აღნიშნული პირები სასიკეთო საქმეში არიან ჩართულნი, პროტესტის, რევოლუციებისა და ექსტრემისტული მოძრაობების დაფინანსების გარეშე, არ უნდა ჰქონდეთ პრობლემა ფინანსური დეკლარაციების გასაჯაროებასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, გარკვეული ორგანიზაციები კანონპროექტს სწორედ იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ მათ მოუწევთ, გაასაჯაროონ, **როგორ აფინანსებენ რევოლუციებსა და ექტრემიზმს.**

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ ჯოზეფ ბორელის განცხადება დაამახინჯა და ეს უკანასკნელი „ქვეყნის დასჯის გეგმებში“ დაადანაშაულა. პოლიტიკოსის განცხადებით, ბორელს საქართველოსთვის სანქციების დაწესება „გამჭვირვალობის კანონის“ გამო სურს, თუმცა არ აქვს პასუხი, როდესაც საფრანგეთში მოქმედი მსგავსი კანონის შესახებ ეკითხებიან. ზარქუამ ყოფილი ევროპარლამენტარების, ანა ფოტიგასა და ვიოლა ფონ კრამონის, რეპუტაციის შელახვაც სცადა: „ფოტიგა სად არის? სად არის ჩემი ვიოლა? მიტინგებს რომ გვიწყობდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას, სააკაშვილი გამოუშვით, თორემ ვერ

ეღირსებოდით?" - აღნიშნა ზარქუამ და განმარტა, რომ ევროპელი ხალხი, რა თქმა უნდა, არ შეეგუებოდა უსამართლობასა და არაობიექტურობას.

- მმართველი პარტიის რადიკალური, ანტი-დასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერის, გურამ მაჭარაშვილის, განცხადებით, „ქართული ოცნების" გარდა, ევროპულმა საზოგადოებამ გასცა პასუხი არა მხოლოდ ბორელს, არამედ ნებისმიერი თანამდებობის პირს, რომელმაც საქართველოსთან დაკავშირებით უსამართლო განცხადება გააკეთა **ევროპარლამენტის არჩევნების დროს.** მან ხაზი გაუსვა, რომ წამყვანი ევროპული ქვეყნების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მხარს უჭერდა „ქართული ოცნების" პოზიციებს, ტრადიციულ კონსერვატორულ მიმართულებას, სამართლიანობას, მშვიდობასა და ეკონომიკურ განვითარებას. ასევე, მათ უარი უთხრეს უსამართლობას, ომსა და ეკონომიკურ ჩამოქცევას. „ამიტომ, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ **ევროპის საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა დაუხურა კარი თავად ყველას, ვინც კი უსამართლო განცხადება გააკეთა საქართველოსთან მიმართებით"**, - განაცხადა მაჭარაშვილმა.

- მოძრაობა „ხალხის ძალამ" გაავრცელა განცხადება **აშშ-ის ელჩის პოზიციებთან დაკავშირებით.** მოძრაობის შეფასებით, ელჩი ამ დრომდე ერიდებოდა განცხადებებს საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა ახლა **ახლა მან წითელი ხაზი გადაკვეთა.** განცხადების თანახმად, აღნიშნული ნაბიჯი გასაგებიცაა და მოსალოდნელიც, რადგან აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოსთან დაკავშირებით არაადეკვატურ, ჩაგვრასა და შეურაცხყოფაზე დაფუძნებულ პოლიტიკას აწარმოებს: „ელჩ დანიგანს არავინ მისცემდა უფლებას, რომ შედარებით ნეიტრალური პოზიციონირებით თავი აერიდებინა მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავებისთვის".

- განცხადება კრიტიკულია ელჩის მიერ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაეჭვების მიმართაც, გაეღრმავებინა ეკონომიკური კავშირები ჩინეთთან. მოძრაობა არასერიოზულად აღიქვამს არგუმენტს, რომ ჩინეთი რუსეთის მთავარი დამფინანსებელია, რის გამოც საქართველო მასთან ურთიერთობას უნდა მოერიდოს. „რატომ აღრმავებს აშშ ყოველწლიურად ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს? თუ ჩინეთთან ურთიერთობა სახიფათო და საფრთხის შემცველია, რატომ ამყარებს და აღრმავებს ევროკავშირი საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტაქტებს?" მოძრაობა „ხალხის ძალის" თანახმად, **დასავლეთი საქართველოს ორმაგ სტანდარტებს უწესებს.**

- აგრეთვე, განცხადების ავტორები **აშშ-ის 6 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარებას „ილუზიასა და ქართველი ხალხის დაცინვას" უწოდებენ,** რადგან სინამდვილეში, დახმარება დაახლოებით 4 მილიარდი დოლარია და განკუთვნილია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მოყვანას ემსახურებოდნენ. დღესდღეობით, აღნიშნული ფინანსები მიემართება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სამშობლოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან.

  წელს რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრასთან და ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციასთან დაკავშირებით, „ხალხის ძალა" ამტკიცებს, რომ **„აშშ-ის დანიშნულმა**

**აგენტურამ“** 2008 წელს უმძიმესი პროვოკაციები მოაწყო. განცხადება რუსეთის შემოჭრაში აშშ-ს ადანაშაულებს, რადგან „აგენტურის“ მიზანმიმართული ბოროტება და უცხოეთის დავალებების უსიტყვო შესრულება რომ არა, შესაძლოა, საქართველოს თავიდან აერიდებინა ომის ქარცეცხლი. ამასთანავე, რუსეთს „ოკუპანტი“ დაერქვა, ხოლო აშშ სტრატეგიული პარტნიორი გახდა - მოძრაობის შეფასებით, აღნშნული ნარატივი პროპაგანდის საწარმოებლად და საზოგადოებრივი აზრის ტერორისთვის გამოიყენება. მოძრაობამ აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება შეაფასა, როგორც ვაშინგტონის სურვილი, გადაერჩინა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ამგვარად შეენარჩუნებინა გავლენა ქვეყანაში.

- განცხადების დასკვნითი ნაწილის თანახმად, აშშ-სა და საქართველოს შორის რომ ნამდვილად არსებობდეს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს მოქალაქეებს სამარცხვინოდ არ მოუწევდათ **აშშ-ის ვიზების გაცემის სტატისტიკაშ ავღანეთის გვერდით დგომა.** „დემოკრატიის დასამყარებლად წლების განმავლობაში ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ვიბრძოდით და სისხლი დავღვარეთ, ბოლოს კი პასუხად ის მივიღეთ, რომ ავღანელები უფრო ხშირად იღებენ აშშ-ს ვიზებს, ვიდრე ქართველები,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

**„ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისია გააკრიტიკა „საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების მიღების რეკომენდაციისთვის“**

ივნისს, ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა მოსაზრება მმართველი პარტიის მიერ დაინიციირებულ საკონსტიტუციო პროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელიც ზღუდავს ლგბტქი+ თემის წევრთა ფუნდამენტურ უფლებებს. კომისია მიიჩნევს, რომ დებულებების შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ვერ დადგინდება და ამ ტექსტის მიღების უბრალო შეთავაზებაც კი საქართველოში ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ მტრული და სტიგმატიზებული გარემოს გაღვივების რისკებს შეიცავს. „ამგვარად, კომისია რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, სრულად გადახედოს ამ საკონონმდებლო წინადადებას და არ გააგრძელოს მისი მიღება“, - აღნიშნულია დოკუმენტში.

მმართველმა პარტიამ კომისიის ზემოაღნიშნული მოსაზრება საკუთარი ნარატივის გასამყარებლად გამოიყენა ტრადიციული ღირებულებების დაცვის შესახებ, ხოლო ოპოზიცია „უცხოეთის მოთხოვნებისა და მითითებების გამო“ სიჩუმეში დაადანაშაულა.

- პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ **ლგბტ პროპაგანდა საზოგადოებისთვის რისკების შემცველია**, რასაც გარკვეული ქვეყნების მაგალითიც ადასტურებს. მისი შეფასებით, ამ პროპაგანდასთან დაპირისპირება მნიშვნელოვანია: „როდესაც ოპოზიცია მხარს არ უჭერს ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონპროექტს, ეს ნიშნავს იმას, რომ ოპოზიცია მხარს უჭერს ლგბტ პროპაგანდას, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია“.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, განცხადებით, ვენეციის რეკომენდაციებში „სახიფათო ტენდენციებია“, რომლებიც „არათუ პროპაგანდის წახალისებას გულისხმობს, არამედ **იმ საკითხების დაკანონებას, რომლის შეზღუდვაზეც იყო საუბარი**“. პაპუაშვილის შეფასებთ, როდესაც საქართველოს

საზოგადოებას სურს, ქორწინება დაშვებული იყოს მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, საქართველომ დაუშვას ერთნაირსქესიანთა ქორწინება. მან განაცხადა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდაციები არა სამართლებრივ მოსაზრებებს, არამედ **გაკრვეულ პოლიტიკურ კონიუნქტურას ეყრდნობა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობს.** პაპუაშვილის მოსაზრებით, ოპოზიცია არ მონაწილეობს კანონთან დაკავშირებულ დისკუსიებში, რადგან **უცხოური ძალების კრიტიკას ერიდებიან.**

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის ბოლოდროინდელი რეკომენდაციები მიუღებელია. კერძოდ, ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით, კომისიამ არა მხოლოდ დაინიციირებული ცვლილებები დაიწუნა, არამედ არსებული კანონმდებლობის საპირისპიროდ შემობრუნების რეკომენდაცია გასცა, ფაქტობრივად **ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიღების შესახებ.** ის ირწმუნებოდა, რომ ოპოზიციური პარტიები გარე ძალების დაუმორჩილებლობას ერიდებიან და არ საუბრობენ აღნიშნულ პრობლემაზე.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, არჩილ თალაკვაძის, მტკიცებით, გაუგებარი და მიუღებელია, რატომ ურჩევს ვენეციის კომისია საქართველოს იმის გაკეთებას, რის წინააღმდეგაც ევროპელი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა მისცა ხმა ევროპარლამენტის არჩევნებში. „ეს კანონი გამოხატავს ჩვენი მოქალაქეების აზრს და განწყობას საკითხთან დაკავშირებით“, - განაცხადა თალაკვაძემ.

- მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა გურამ მაჭარაშვილმა ვენეციის კომისია გააკრიტიკა, რადგან ამ უკანასკნელმა არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური რეკომენდაციები გასცა. მისი შეფასებით, ვენეციის კომისია გარკვეულმა ძალამ მიიყვანა ნაბიჯისკენ, რომ საქართველოსთვის მოეწოდებინა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისკენ. საქართველოს კონსტიტუცია ოჯახს ქალისა და კაცის კავშირად აკანონებს, თუმცა ვენეციის კომისიას სურს, საქართველომ საკუთარი კონსტიტუცია უგულებელყოს და ერთსქესიანთა ქორწინება მიიღოს. მაჭარაშვილმა ოპოზიციას მოუწოდა, ღიად განაცხადონ, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრებას ეთანხმებიან. „თუ დუმილს შეინარჩუნებენ, დუმილი თანხმობის ნიშანია და ის ლგბტ დროშა კიდევ უფრო დიდად აფრიალდება ოპოზიციის რიგებში," - განაცხადა მაჭარაშვილმა.

**„გლობალური ომის პარტია“, „რევოლუცია“ და „მეორე ფრონტი“ მმართველი პარტიის რიტორიკაში კვლავ აქტუალურია**

- პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ევროპელი და ამერიკელი საზოგადოების სახელით, ბევრი უსამართლო განცხადება გაკეთებულა საქართველოსთან მიმართებით - მაგალითად, ევროპარლამენტარების, სენატორების, კონგრესმენებისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიერ. მმართველი პარტია „გლობალურ ომის პარტიაზე“ საუბრობს, რადგან ამ უკანასკნელს სერიოზული გავლენა აქვს ოფიციალურ დასავლურ სტრუქტურებზე. აგრეთვე, კობახიძის განცხადებით, **„გლობალური ომის პარტიის“ ნარატივი მმართველ პარტიას საშუალებას აძლევს, ქართველი ხალხის თვალში დასავლელი პარტნიორების რეპუტაცია დაიცვას, რადგან ამ გზით, დასავლური სტრუქტურების მიერ**

**გაკეთებულ უსამართლო განცხადებებს არა კონკრეტულად ამ სტრუქტურებს, არამედ „გლობალურ ომის პარტიას“ მიაწერს.** „ევროკავშირსაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც სჭირდება დეოლიგარქიზაცია და იმედი მაქვს, რომ პროცესები ამ მიმართულებით წარიმართება. შესაბამისად, შემცირდება ზეწოლა საქართველოზე,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

- პრემიერ-მინისტრმა გაიმეორა ნარატივი, რომ 2020 წლიდან საქართველოში გარკვეული ჯგუფები ქაოსს აღვივებენ და მშვიდობას არყევენ. კობახიძის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებით 90 მანდატი მოიპოვა, თუმცა გაყალბებული პარალელური დათვლის მონაცემების გამო ოპოზიციამ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, რამაც პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია და 2021 წელს, ევროკომისიის პრეზიდენტის, შარლ მიშელის, შუამდგომლობით მიღებული შეთანხმებით დასრულდა. კობახიძემ აღნიშნულ შეთანხმებას - „კონსტიტუციური ჩარჩოებიდან სისტემის დროებითი გასვლა“, ხოლო მოვლენებს „ხელოვნურად შექმნილი ტურბულენტობა“ უწოდა. 2022 წელს, ოპოზიცია და აფილირებული ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, მიერთებოდნენ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და გაეგზავნათ მებრძოლი მოხალისეები უკრაინაში, რაც, საბოლოოდ, ქვეყანას ომში ჩაითრევდა. კობახიძე ირწმუნებოდა, რომ ზემოაღნიშნული მცდელობები 2023 წელსაც გაგრძელდა, თუმცა ხელოვნურად, სანამ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო.

- ირაკლი კობახიძის თქმით, საქართველოს მთავრობა ევროკავშირისგან პრაგმატულ ნაბიჯებს ელოდება, თუმცა „საბოლოო ჯამში, **ვერცერთი არგუმენტი** ვერ იქნა წარმოდგენილი კანონის წინააღმდეგ.“ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები საჯარო დისკუსიაზე ყოველ ჯერზე უარს აცხადებდნენ, რაც ადასტურებს, რომ მათ კრიტიკას საფუძველი არ ჰქონდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთ ფონზე საჭიროა პრაგმატული ნაბიჯები ევროკავშირისგან საქართველოს მიმართებით, რათა ეს პარტნიორობა გამყარდეს.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში მებრძოლებს გაგზავნიდა და შეუერთებოდა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ საქართველოს ფიზიკურად და ეკონომიკურად გაანადგურებდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ომში ჩათრევის გეგმაში „ზოგიერთი ევროპელიც“ იყო ჩართული. „ის ევროპელები დღესაც არიან და ტელევიზორში ჩანან. ბოდიში მოიხადა ვინმემ ამის გამო? **რომ ლამის ომში ჩაგვაგდეს საკუთარი წინდაუხედავი რჩევებითა და რეკომენდაციებით?“** - განაცხადა პაპუაშვილმა.

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე ირწმუნებოდა, რომ **ევროკავშირი “გვეუბნებოდა [მმართველ პარტიას] სხვა რაღაცებს, სხვა რაღაცები უნდა გვეკეთებინა იმისათვის, რომ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი და არ ვაკეთეთ ეს რაღაცები”, თუმცა მაინც მოიპოვეს კანდიდატის სტატუსი „ორ ფეხზე მყარად დგომით“.** „ჩვენ უსამართლოდ რაღაცებს გვეტყვიან, ვიღაცები დაგვემუქრებიან, რაღაცები მოხდება, მაგრამ სიმართლეს ვერაფერი დაუდგება წინ - **ამაყად და ღირსებით ჩვენ გავხდებით ევროკავშირის წევრები.“**

- „ჩვენს პარტნიორებს, ევროპელებს, ამერიკელებს კიდევ ერთხელ ვუხსნით, **არ ღირს ამ მებრძოლი ერის გადაკიდება“**, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ. მისი თქმით, **საქართველოს არ უნდა ომი, ლგბტ პროპაგანდა და პოლარიზაცია** და აქვს უფლება, **დაიცვას სუვერენიტეტი.** მან ქვეყნის ევროპელ პარტნიორებს მოუწოდა, დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდაზე და მიაღწიონ საერთო შეხების წერტილს, თუმცა ომში ჩართვის, მართლმადიდებლობის წაშლისა და ლგბტ პროპაგანდის მიღების მოთხოვნების გარეშე.

**პროკრემლისტური ჯგუფები განაგრძობენ დასავლეთის დადანაშაულებას, საქართველოში რევოლუციისა და ომის წამოწყების გეგმების გამო**

- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე ამტკიცებდა, რომ დასავლეთი საქართველოს **„მეორე ფრონტის“ გახსნას აიძულებს**, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს **საზარბაზნე ხორცად** აქცევს, ვინაიდან რუსეთის წინააღმდეგ ომში გამარჯვება შეუძლებელია.

- მთავრობის მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ დამფუძნებელი ნანა კაკაბაძე ირწმუნებოდა, რომ **დასავლეთი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ძალადობრივად გადაგდებას ისახავს მიზნას,** რადგან საქართველოს მმართველი პარტია დასავლეთის მითითებების შესრულებაზე უარს ამბობს. მისი განცხადებით, **დასავლეთი 2024 წლის არჩევნებს ლეგიტიმურად არ გამოაცხადებს,** რადგან მხოლოდ ასე თუ შეძლებს „ქართული ოცნების“ თავიდან მოშორებას.

- მიხეილ ჟღენტის, პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ წევრის, მტკიცებით, დასავლეთის მიერ დაფინანსებული ორგანზიაციები „გამჭვირვალობის კანონის“ საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს იმიტომ მართავდნენ, რომ ამაში ფულს იღებდნენ. დასავლეთს საქართველოში გავლენის შენარჩუნება სურს, თუმცა კანონპროექტი ამ გეგმას ეწინააღმდეგება - სწორედ ამიტომ დაავალა ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას, რომ კანონს ნებისმიერი საშუალებით შეწინააღმდეგებოდა. თუ ისინი ამას ვერ შეძლებენ, დაფინანსებას დაკარგავენ.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში, სასულიერო პირი ასევე ხაზგასმით ამტკიცებდა, რომ **დასავლეთს საქართველოსა და რუსეთს შორის ომის გაღვივება სურს.** ვაშინგტონი და ბრიუსელი **არ ინტერესდებიან საქართველოს კეთილდღეობითა და განვითარებით;** მათი მიზანი **რუსეთის შესუსტება და მეზობელ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის გაჩენაა.**

- „ალტ-ინფოს“ ეთერში, მორიგი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ ევროპა და აშშ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი მტრები არიან. დასავლეთი მიზნად ისახავს, ძირი გამოუთხაროს მცირე სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, ღირებულებებსა და იდენტობას.

- „ალტ-ინფოს“ გადაცემების ერთ-ერთი წამყვანი ალექსანდრე ფალავანდიშვილი იმეორებდა მმართველი პარტიის ნარატივს, თითქოს დასავლეთი უსაფუძვლოდ

ემუქრება საქართველოსა და ქართველ მაღალჩინოსნებს იმ კანონის მიღების გამო, რომლის იდენტური ვერსიებიც უკვე მოქმედებს საფრანგეთში, კანადასა და აშშ-ში.

- პროპაგანდისტული წყაროების მტკიცებით, შიდა და გარე ძალები საქართველოში არჩევნების შემდეგ **სერიოზული არეულობის მოწყობას შეეცდებიან**, ხოლო იარაღად **„დაბრმავებულ ქართველ ახალგაზრდობას“** გამოიყენებენ, რაც, სამწუხაროდ, სერიოზული დაპირისპირებით დასრულდება.

**პროკრემლისტური ჯგუფების შეთქმულების თეორიები საქართველოში აშშ-ს ინტერესების შესახებ**

- ძველაია, „ალტ-ინფოს“ გადაცემების ერთ-ერთი წამყვანი, ირწმუნებოდა, რომ თუ აშშ-ის ელჩის მითითებიდან გამომდინარე, ჩინეთი რუსეთის დამფინანსებლად აღიქმება, იგივე ლოგიკა უნდა ვრცელდებოდეს აშშ-სა და ევროკავშირზეც, რომლებიც კვლავ ინარჩუნებენ სავაჭრო კავშირებს რუსეთთან. პროპაგანდისტის მტკიცებით, აშშ-ის ელჩსა და ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ქართველები მიმდინარე მოვლენებში გათვითცნობიერებულნი არ არიან და მათი მოტყუება მარტივია.

- იგივე პროპაგანდისტი ამტკიცებდა, რომ აშშ-სთან ურთიერთობამ საქართველოს მწვავე ეკონომიკური პრობლემები და სიღარიბე მოუტანა. ის სპეკულირებდა, თითქოს აშშ-მა აღნიშნული გამიზნულად გააკეთა, რადგან **ღარიბ ქვეყანაში „აგენტურის“ დანერგვა და მშიერი ხალხისთვის ევროპული მისწრაფებების მიყიდვა უფრო მარტივია.**

- „ალტ-ინფოს“ მორიგი წამყვანის, ალექსანდრე ფალავანდიშვილის, მტკიცებით, 1990-იან წლებში, აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელებმა გარკვეულ ქართველ მაღალჩინოსნებს **რუსეთთან ომში ჩართვისა და** ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდეს.

- პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ საქართველო ვერასოდეს გახდება სუვერენული სახელმწიფო აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის პირობებში, რადგან აღნიშნული პარტნიორობის ჩარჩო საქართელოს ვასალურ, სატელიტურ სახელმწიფოდ მოიაზრებს. პროპაგანდისტის თქმით, აშშ-ს აქვს უფლება, საქართველოს ტერიტორია საკუთარი სამხედრო ძალებისთვის გამოიყენოს. ამასთანავე, უკრაინაში რუსეთის ომის საწყის პერიოდში, არსებობდა მოთხოვნები, რომ საქართველოს გამოეყენებინა სამხედრო ძალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

- ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში პროპაგანდისტი სპეკულირებდა, რომ, როდესაც გარკვეული პირები კორუფციასთან ბრძოლის მიზნით გაათავისუფლა. თუმცა, რეალურად, **გასათავისუფლებელი პირების სია აშშ-ის საელჩომ შეადგინა**, რათა საქართველოს ოფიციალური სტრუქტურებიდან პატრიოტი ადამიანები გაეძევებინა.

- სასულიერო პირი, რომელიც ხშირად სტუმრობს „ალტ-ინფოს“ ეთერს, ამბობდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებზე ხმების 70% რომც მოიპოვოს,

**პროდასავლური ძალები არჩევნებს მაინც გაყალბებულად გამოაცხადებენ** და აშშ-ისა და „კოლექტიური დასავლეთის“ მხარდაჭერით, **რევოლუციას დაიწყებენ.**

**პროპაგანდა მოსკოვს საქართველოს დამოუკიდებლობისა და იდენტობის გადამრჩენელად წარმოაჩენენ**

- პროპაგანდისტი პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ ეთერში ამბობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და რეინტეგრირდეს პოსტსაბჭოთა ეკონომიკურ სივრცეში, რადგან ეს უკანასკნელი ერთადერთი საშუალებაა საქართველოსთვის, განავითაროს ეკონომიკა. მან განმარტა, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა უსაფრთხოების ზომაცაა, რადგან **რუსეთს ისტორიულად არაერთხელ გადაურჩენია საქართელოს იდენტობა და სუვერენიტეტი.**
- იმავე გადაცემაში, კიდევ ერთმა პროპაგანდისტმა იგივე ნარატივი გაიმეორა და განაცხადა, რომ რუსეთის დაშლის შემთხვევაში, საქართველოც დაიშლება, რადგან **რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ერთადერთი გარანტია.**
- პროპაგანდისტი „ალტ-ინფოს“ ეთერში ამტკიცებდა, რომ დასავლეთმა შესაძლოა, სანქცები და შეზღუდვები დაუწესოს საქართველოს, თუმცა საბოლოოდ მაინც იძულებული იქნება, ქვეყანასთან ურთიერთობა მოაწესრიგოს მას შემდეგ, რაც საქართველო მოაწესრიგებს კავშირებს მეზობელ სახელმწიფოებთან, უპირველეს ყოვლისა - რუსეთთან. მისი შეფასებით, **საქართველო უფრო მნიშვნელოვანია ევროპისთვის, ვიდრე ევროპა - საქართველოსთვის;** აქედან გამომდინარე, რუსეთთან დიპლომატიური კავშირების აღდგენა დასავლეთთან ურთიერთობის დასტაბილურების საშუალებაა.
- პროპაგანდისტული წყაროები განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ **ევროკავშირი და აშშ საქართველოს ვერ დაეხმარებიან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში**, რადგან აღნიშნული პრობლემა რუსეთის ჩარევის გარეშე ვერ გადაიჭრება.
- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძის, განცხადებით, **დასავლეთს ყაზახეთში, ბელარუსში, სირიასა და თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სურდა**, თუმცა რუსეთმა აღნიშნული გეგმები საწყის ეტაპებზევე შეაჩერა.
- მჟავანაძემ გაიმეორა ტრადიციული ნარატივიც, რომლის თანახმადაც, გურია, აჭარა და ჯავახეთი საქართველოს რუსეთმა გადასცა. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ საქართველომ **5 მილიონიან მოსახლეობასა და აყვავებულ ეკონომიკას საბჭოთა პერიოდში მიაღწია**, რაც ადასტურებს, თუ **რამდენად სარგებლიანია საქართველოსთვის ახლო კავშირები კრემლთან.**
- გურამ ფალავანდიშვილი, პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი, რომელიც ხშირად სტუმრობს „ალტ-ინფოს“ ეთერს, ამტკიცებდა, რომ ჰომოსექსუალიზმი გამჯდარია დასავლეთში, რომელმაც ღმერთი უარყო და მიზნად ისახავს, თავისი „იდეოლოგია“ მსოფლიოს მასშტაბითაც გაავრცელოს - მათ შორის, საქართველოშიც. ფალავანდიშვილის თქმით, მართლმადიდებლობამ საქართველო გადაარჩინა, თუმცა საბერძნეთის შემთხვევაში რომ ლეგალიზდა ერთსქესიანთა ქორწინება მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელია,

საქართველოს სიფრთხილის გამოჩენისკენ მიუთითებს. პროპაგანდისტის განცხადებით, ამ ფონზე, **საქართველოს რწმენასა და იდენტობას მხოლოდ ის უნარჩუნებს, რომ რუსეთის მეზობელი ქვეყანაა.**